საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქელ VI

მიქელ VI, მიქაელი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1419/20–25/26. მხარს უჭერდა საქართვ. პოლიტ. მთლიანობის განმტკიცებას. ალაგმა სამცხის სამთავროს ეპარქიის წინამძღოლის, გერასიმე მაწყვერელის სეპარატისტული ქმედება და ფიცი დაადებინა საქართვ. მეფისა და მცხეთის საპატრიარქოს ერთგულებაზე: „მეფეთა მლოცველნი ვიყუნეთ და თქვენი მომხსენებელნი ვიყუნეთ. არც პატრიარქი მოვიხსენოთ ანტიოქიისა, არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ. არც ვარძიის დიაკონი ვაკურთხოთ“. მ. VI მხარში ედგა ალექსანდრე I-ს თემურლენგის შემოსევათა შედეგად დაზიანებული სვეტიცხოვლის ტაძრის განახლება-მშენებლობაში.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე